საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცამეტი წლის ოთხ ოქტომბერს მე, ქეთევან გრიგოლიას ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45, მესამე სართულზე, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით და პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის გამოყენებით დამიკავშირდა **მარინა აბრამიშვილი,** რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება გერმანიაში, ფრანქფურტი, ამ მაინ ქრონწმთეთნის ქუჩა №69 და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს განცხადება და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით (თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტისა) და დაერწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **მარინა აბრამიშვილმა** (დაბადებული 17.10.1982წ. დაბადების ადგილი: თელავი, პირადობის მოწმობის №a1426629, პირადი №20001010717, გაცემული 20.05.2011წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თელავის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული: თელავი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №167, პირადი განცხადებით მცხ. თბილისი, მაზნიაშვილის ქ. №4, ბინა 14, ამჟამად მცხოვრები გერმანია, ფრანქფურტი, ამ მაინ ქრონწმთეთნის ქუჩა №69).

სანოტარო მოქმედების შესრულებას **მარინა აბრამიშვილის** თხოვნით ესწრებოდნენ: **რუსუდან მუმლაძე** (დაბადებული 26.08.1973წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პირადობის მოწმობის №a1029531, პირადი №01007005729, გაც. 20.12.2006წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბის სამსახურის მიერ, მცხოვრები, თბილისი, რ. გვეტაძის ქ. №6, ბინა 12), როგორც განმცხადებლის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი), **დავით ლონდარიძე** (დაბ. 30.08.1979წ. დაბადების ადგილი: თბილისი, მუდმივი ბინადრობის მოწმობის №11PR01809, პირადი №01001009744, გაც. 14.02.2012წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ. თბილისი, აკურის ქ. №13, ბინა 56), როგორც „მოწმე".

მე, ნოტარიუსმა სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ და განვუმარტე, რომ:

მოწმე სანოტარო მოქმედებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით, მოწმე არ შეიძლება იყოს სანოტარო აქტის მონაწილე, რომელიმე მხარისა და/ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით.

განმცხადებელმა და მოწმემ განაცხადეს, რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და დადასტურების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც **მარინა აბრამიშვილმა** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის განცხადება, **მარინა აბრამიშვილის** ნების გამოვლენის ნამდვილობისა და განცხადების შინაარსის დადგენის შემდეგ შევადგინე შემდეგი აქტი:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქ. თბილისში, მაზნიაშვილის ქ. №4-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სართული 4, ბინა №14-ში მაცხოვრებელი **მარინა აბრამიშვილი** თანახმა ვარ, რომ ქ. თბილისში, მაზნიაშვილის ქ. №4-ში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში, ჩემს კუთვნილ ფართზე განხორციელდეს არსებული აივნის მომატება და მე-2 სართულზე, ევგენი ლალიაშვილის კუთვნილი ღია ტერასის ამოშენება.

ასევე, თანახმა ვარ, რომ ევგენი ლალიაშვილმა, ჩემი სახელით აწარმოოს კანონით განსაზღვრული ყველა ის პროცედურა, რაც აუცილებელია ზემოთაღნიშნული საკითხის განხორციელების მიზნით ნებართვების მისაღებად (ჩემი სახელით შეიტანოს განაცხადი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში და მიიღოს პასუხები).

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 32, 39.1 – ორმოცდაათი ლარი + სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, სულ ორმოცდათორმეტი ლარი.

განცხადება შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება ქეთევან გრიგოლიას სანოტარო საქმეებში, ხოლო მეორე გადაეცა **რუსუდან მუმლაძეს.**

მარინა აბრამიშვილმა განაცხადა, რომ მის ნაცვლად განცხადებას ხელი მოაწეროს **რუსუდან მუმლაძემ,** ხოლო ყოველივე ზემოთ თქმული დაადასტუროს „მოწმემ" **დავით ლონდარიძემ.**

წინამდებარე განცხადების ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის და ვიზუალური კონტაქტის საშუალებით წავუკითხე და განვუმარტე განმცხადებელს და დამსწრე პირებს. განმცხადებელმა დამიდასტურა, რომ განცხადების ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას, განცხადების დადასტურების დროს იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ. სანოტარო მოქმედების შესრულებას **რუსუდან მუმლაძე** და **დავით ლონდარიძე** ესწრებოდნენ სანოტარო მოქმედების დაწყებიდან (ნოტარიუსის მიერ საბუთის წაკითხვის ჩათვლით) სანოტარო მოქმედების სრულად დასრულებამდე.

რუსუდან მუმლაძემ და **დავით ლონდარიძემ** წაიკითხეს წინამდებარე აქტი, განაცხადეს, რომ აქტი ზუსტად ასახავს მათ თანდასწრებით მომხდარ ფაქტებს, რაც ასახულია წინამდებარე აქტში და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერს ხელი წინამდებარე აქტს.

სანოტარო მოქმედების ჩაწერა განხორციელდა ვიდეო ფაილის სახით, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

ყოველივე ზემოთ თქმულს დამოწმებ ჩემი ხელმოწერით და ბეჭდის დასმით.

ხელს აწერს _____ **რუსუდან მუმლაძე**
განმცხადებლის ნაცვლად მისივე თხოვნით

ხელს აწერს _____ **დავით ლონდარიძე**
მოწმე

ნოტარიუსი _____ ქეთევან გრიგოლია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ქ. თბილისში, მაზნიაშვილის ქ. №4-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლები:

1. გია სოფაძე (პირადი №01024020277) – სართული 1, ბინა №3
2. ევგენი ლალიაშვილი (პირადი №01017000662) – სართული 2, ბინა №6
3. დავით ლონდარიძე (პირადი № 01001009744) – სართული 3, ბინა №10
4. შპს "ალპენ კაუკასუს კომპანი" (საიდენ. №401957307) – სართული 5, ბინა №17, წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავით ფერაძის სახით (პირადი №01007007153)

თანახმა ვართ, რომ ქ. თბილისში, მაზნიაშვილის ქ. №4-ში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში, ჩვენ კუთვნილ ფართებზე განხორციელდეს არსებული აივნების მომატება და მე-2 სართულზე, ევგენი ლალიაშვილის კუთვნილი ღია ტერასის ამოშენება.

ასევე, ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი თანახმა ვართ, რომ ევგენი ლალიაშვილმა, ჩვენი სახელით აწარმოოს კანონით განსაზღვრული ყველა ის პროცედურა, რაც აუცილებელია ზემოთაღნიშნული საკითხის განხორციელების მიზნით ნებართვების მისაღებად (ჩვენი სახელით შეიტანოს განაცხადი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში და მიიღოს პასუხები).

გია სოფაძე (პირადი №01024020277) ----------

ევგენი ლალიაშვილი (პირადი №01017000662) ----------

დავით ლონდარიძე (პირადი № 01001009744) ----------

შპს "ალპენ კაუკასუს კომპანი" (საიდენ. №401957307), წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავით ფერაძის სახით (პირადი №01007007153) ----------

ქ.თბილისი,
04 ოქტომბერი 2013 წელი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131053845
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.10.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან გრიგოლია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593 127322
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	79435590442513

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ცამეტი წლის ოთხ ოქტომბერს მე, ქეთევან გრიგოლიას ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე მომმართეს: **გია სოფაძემ, ევგენი ლალიაშვილმა, დავით ლონდარიძემ და დავით ფერაძემ,** მათ წარმომიდგინეს განცხადება და განაცხადეს, რომ სურდათ განცხადებაზე ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. **მე, განვუმარტე, რომ განცხადების შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია არ ვიღებ პასუხისმგებლობას, მხოლოდ ვამოწმებ განცხადებაზე ხელმოწერებს.** მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი და დავადგინე, რომ ნამდვილად მომმართეს: **გია სოფაძემ** (დაბ. 10.12.1960 წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პირადობის მოწმობა №11ID65523, პირადი №01024020277, გაც. 31.05.2012 წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული: თბილისი, ბახტრიონის ქ. №7ა, ბინა 49, პირადი განცხადებით მცხ. ქ. თბილისი, მაზნიაშვილის ქ. №4, ბინა 3). **ევგენი ლალიაშვილმა** (დაბ. 07.06.1949 წ. დაბადების ადგილი: რუმინეთი, პირადობის მოწმობის №g0031174, პირადი №01017000662, გაც. 28.02.1995 წ. მთაწმინდის შს განყოფილების მიერ, რეგისტრირებული: თბილისი, გ. ქიქოძის ქ. №15, პირადი განცხადებით მცხ. ქ. თბილისი, მაზნიაშვილის ქ. №4, ბინა 6), **დავით ლონდარიძემ** (დაბ. 30.08.1979წ. დაბადების ადგილი: თბილისი, მუდმივი ბინადრობის მოწმობის №11PR01809, პირადი №01001009744, გაც. 14.02.2012წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ. თბილისი, აკურის ქ. №13, ბინა 56) და **დავით ფერაძემ** (დაბ. 13.11.1963 წ. დაბადების ადგილი: ზესტაფონი, პირადობის მოწმობა №a0154957, პირადი №01007007153, გაც. 20.01.1998 წ. თბილისის დიდუბის რ-ნის შს 2-ქვეგანყოფილების მიერ, მცხ. თბილისი, წყალტუბოს ქ. კორპ. 4, ბინა 8).

მე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

გია სოფაძემ, ევგენი ლალიაშვილმა, დავით ლონდარიძემ და დავით ფერაძემ წაიკითხეს და განაცხადეს, რომ განცხადება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე განცხადებაზე.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი ნოტარიული ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31.3, 39.1 ორი ეგზემპლარი, რვა ხელმოწერა, თექვსმეტი ლარი + სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრის საფასური ორი ლარი, სულ თვრამეტი ლარი.

ნოტარიუსი _____ ქეთევან გრიგოლია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
75935667834613

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131053157

რეგისტრაციის თარიღი

04.10.2013 წ

ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია
მისამართი: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
ტელეფონი: 593 127322

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18